ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

არასტანდარტული საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულება # (თარიღი) _____

„აღნიშნული სერტიფიკატი არის არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი და მასზე არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები“

საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი

- საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი _____
- საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი _____

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება და ვალუტა: _____
- საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა: _____
- საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო: _____
- ბანკის თანხმობის შემთხვევაში, საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდება (გამოსყიდვა): ჩაითვლება, რომ საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის საფუძველზე განთავსებულ სახსრებს პროცენტი არ ერიცხებოდა და მფლობელს დაეკისრება ჯარიმა საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების 3 % -ის ოდენობით, ხოლო მფლობელზე გასაცემი თანხა დაკორექტირდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირობების (მათ შორის უკვე გაცემული პროცენტის გამოქვითვის) შესაბამისად.

- საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდების [გამოსყიდვის] შესახებ სერტიფიკატის მფლობელის თხოვნას ბანკი განიხილავს და პასუხს აცნობებს მიმართვიდან 3 დღის ვადაში და დადებითი გადაწყვეტილების შესახებ თანხა გაიცემა 5 დღის ვადაში.

- ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს „სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის ძირითადი პირობები“ რის შესახებაც ორი თვით ადრე ატყობინებს მფლობელს, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე. ბანკის მიერ შეტყობინება იგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით.

  ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები სერტიფიკატის მფლობელმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად, სტანდარტული წერილობითი ან თავისუფალი წერილობითი ფორმით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: info@vtb.ge

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს![1]

[1] იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

ბანკი სერტიფიკატის მფლობელი

ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს[2]

ლარის შესაძლო 15 % იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი _____წლიური[3]

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე -032 2406 406

ხელშეკრულება არასტანდარტული საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის შესახებ

ქ. _____ **__ ____ 20 __ წელი**

ერთის მხრივ სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ _____ ფილიალი [შემდგომ „ბანკი“] და მეორეს მხრივ _____ [შემდგომ „სერტიფიკატის მფლობელი“] ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის შესახებ:

1. სადეპოზიტო სერტიფიკატის ტიპი: **არასტანდარტული საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატი**

1[1] საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული

2. სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი: **წლიური _____**
3. სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: **წლიური _____**
4. ლარის შესაძლო 15 % იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი[4]: **წლიური _____**
5. სადეპოზიტო სერტიფიკატის ლარში მიღების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი: **წლიური _____** _____[5]
6. სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება და ვალუტა: **_____ .**
7. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა: _____ .
8. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო: _____ .
9. საპროცენტო სარგებლის დარიცხვის და გადახდის წესი: საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება ხორციელდება ყოველდღიურად, 365 დღეზე გაანგარიშებით. დარიცხულ საპროცენტო სარგებელს ბანკი უხდის სერტიფიკატის მფლობელს ყოველთვიურად.
10. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადის ბოლოს სერტიფიკატის მფლობელი მიიღებს სერტიფიკატის ნომინალურ ღირებულებას [და ამ დროისათვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელს[6]].

11. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდება [გამოსყიდვა]

11.1. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდება [გამოსყიდვა] გულისხმობს გარემოებას, როცა სერტიფიკატის მფლობელის სურვილის და ბანკის თანხმობის შემთხვევაში, სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელისათვის თანხების დაბრუნება ბანკის მიერ ხდება სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე.

11.2. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, სერტიფიკატის მფლობელის მოთხოვნა, ვადაზე ადრე განაღდების [გამოსყიდვის] შესახებ არ წარმოშობს ბანკის ვალდებულებას და ბანკი გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი შეხედულებისამებრ.

11.3. ბანკი არ არის ვალდებული დაასაბუთოს მისი უარი სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდებაზე [გამოსყიდვაზე].

---

[2] იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

[3] იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

[4] იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

[5] იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

[6] იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული პროცენტის რეალიზაცია ხდება ვადის ბოლოს

ბანკი სერტიფიკატის მფლობელი

11.4. თუ ბანკის დათანხმდება სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელის მიმართვას სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდების [გამოსყიდვის] შესახებ ჩაითვლება, რომ [ა] სადეპოზიტო სერტიფიკატის საფუძველზე განთავსებულ სახსრებს პროცენტი არ ერიცხებოდა და [ბ] და სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს დაეკისრება ჯარიმა სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების 3 % ის ოდენობით, ხოლო სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელზე გადასახდელი თანხა დაკორექტირდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირობების [მათ შორის უკვე გაცემული პროცენტის გამოქვითვის] შესაბამისად.

11.5. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდების [გამოსყიდვის] შესახებ სერტიფიკატის მფლობელის თხოვნას ბანკი განიხილავს და პასუხს აცნობებს მიმართვიდან 3 დღის ვადაში და დადებითი გადაწყვეტილების შესახებ თანხა გაიცემა 5 დღის ვადაში.

11.6. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და ბანკს წარმოეშობა უფლება, რომ მოთხოვნა დაიკმაყოფილოს სადეპოზიტო სერტიფიკატის საფუძველზე კლიენტის მიერ განთავსებული სახსრების ხარჯზე, აღნიშნული გარემოება სამართლებრივად შეფასდება როგორც სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდება [გამოსყიდვა] და გამოიწვევს 11.4. პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს. ამასთან, ჯერ მოხდება ჯარიმის ჩამოჭრა და შემდგომ დარჩენილი თანხიდან ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

11.7. დაუშვებელია სერტიფიკატის ნაწილობრივი გამოსყიდვა.

12. ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები კლიენტმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად, სტანდარტული წერილობითი ან თავისუფალი წერილობითი ფორმით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: info@vtb.ge. ბანკის მიერ პრეტენზია განხილული იქნება ერთი თვის ვადაში ვადაში და შესაბამისი პასუხი კლიენტს მიეწოდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც იყო წარმოდგენილი პრეტენზია.

13. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით სერტიფიკატის მფლობელი ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება „სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის ძირითად პირობებს“, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე: vtb.ge, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არეგულირებს მხარეთა უფლება - მოვალეობებს, დაკავშირებულს სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობასთან.

14. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს „სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის ძირითადი პირობები“, რის შესახებაც ბანკი ორი თვით ადრე ატყობინებს მფლობელს. ბანკის მიერ შეტყობინება იგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელი შეცვლის წინამდებარე ხელშეკრულების მე-19 პუნქტში მითითებულ ტელეფონის ნომერს ან ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამის შესახებ არ აცნობებს ბანკს, ეს უკანაკნელი ხელმძღვანელობს მისთვის ცნობილი რეკვიზიტებით და მათზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ინფორმაციის მიღებად.

15. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე სერტიფიკატის მფლობელი დავალებას აძლევს ბანკს რომ მის _____ ანგარიშზე არსებული თანხა, წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 პუნქტში მითითებული ოდენობით გადარიცხოს შესაბამის ანგარიშზე, რათა სერტიფიკატის მფლობელის მიერ მოხდეს სერტიფიკატის შესყიდვა.

16. სადეპოზიტო სერტიფიკატის განსათავსებელად გახსნილ ანგარიშზე თანხების შეტანა და მათი უკან დაბრუნება/პროცენტის გადახდა ხორციელდება სერტიფიკატის მფლობელის _____ ანგარიშის მეშვეობით და სერტიფიკატის მფლობელს უფლება არა აქვს სერტიფიკატის ფლობის მთელი პერიოდის განმავლობაში დახუროს ანგარიში, რადგან ბანკში ანგარიშის ფლობა წარმოადგენს სერტიფიკატით სარგებლობის ერთ - ერთ ძირითად წინაპირობას.

16[1]. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

ბანკი სერტიფიკატის მფლობელი

17. ნებისმიერი დავა, გამომდინარე წინამდებარე ხელშეკრულებიდან, „სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის ძირითად პირობებიდან“ და მათთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან [მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან], ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ [საიდენტიფიკაციო N205267389], რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.
მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია [მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.] ჩაითვლება ჩაბარებულად [შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით].

17[1] სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

18. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

19. მხარეები:

ბანკი	სერტიფიკატის მფლობელი
ს/კ 202906427 საბანკო საქმიანობის ლიცენზია N226ა ფილიალის მმართველი _____	[ინდ მეწარმის/იურიდიული პირის დასახელება] [საიდენტიფიკაციო კოდი] [მისამართი] [მობილური ტელეფონის ნომერი] [ელ. ფოსტა] დირექტორი _____

ბანკი სერტიფიკატის მფლობელი